ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2021 წლის I კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 4 682,3 ათ. ლარი, ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის იყო 2 723,0 ათ. ლარი საიდანაც სამ თვეში გაიწერა 2 497,3 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის I კვარტლის გეგმამ შეადგინა 7 179,6 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 4 682,3 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 1 293,2 ათ. ლარი (28%); - აქედან ქონების გადასახადის გეგმა 9,5 ათ. ლარი - ფაქტი 2,3 ათ. ლარი (24%); დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 1 064,4 ათ. ლარი - ფაქტი 1 030,6 ათ. ლარი (97%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 3 579,0 ათ. ლარი - ფაქტი 192,7 ათ. ლარი (5%); სხვა შემოსავლებიდან პროცენტის გეგმა 9,6 ათ. ლარი - ფაქტი 8,2 ათ. ლარი (85%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 6,0 ათ. ლარი - ფაქტი 11,6 ათ. ლარი (193%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან გეგმა 1,0 ათ. ლარი - ფაქტი 6,4 ათ. ლარი (640%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 1,5 ათ. ლარს ფაქტი 6,6 ათ. ლარი (440%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 2,4 ათ. ლარი - ფაქტი 1.0 ათ. ლარი (42%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 7,9 ათ. ლარი - ფაქტი 2,5 ათ. ლარი (32%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე შემოვიდა 0,2 ათ. ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 1,0 ათ. ლარი - ფაქტი 0; არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზებიდან) შემოვიდა 37,3 ათ. ლარი.

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 7 179,6 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 2 087,0 ათ. ლარი (29%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 514,9 ათ. ლარი - ფაქტი 415,3 ათ. ლარი (81%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 124,1 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 109,8 ათ. ლარი (88%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 349,6 ათ. ლარი - ფაქტი 284,2 ათ. ლარი (81%); სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 18,6 ათ. ლარი - ფაქტი 15,8 ათ. ლარი (85%); სარეზერვო ფონდის გეგმა შადგენს შესაბამის პერიოდში 17,0 ათ. ლარს; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5,5 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარება გეგმა 5 942,6 ათ. ლარი - ფაქტი 1 233,1 ათ. ლარი (21%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 1 125,9 ათ. ლარი - ფაქტი 188,7 ათ. ლარი (17%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 49,2 ათ. ლარი - ფაქტი 36,5 ათ. ლარი (74%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 275,7 ათ. ლარი - ფაქტი 0,0 ათ. ლარი;
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 13,0 ათ. ლარი - ფაქტი 9,4 ათ. ლარი (72%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 55,4 ათ. ლარი - ფაქტი 55,4 ათ. ლარი (100%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 0,4 ათ. ლარი - ფაქტი 0,2 ათ. ლარი (50%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 38,8 ათ. ლარი - ფაქტი 16,3 ათ. ლარი (42%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 129,0 ათ. ლარი - ფაქტი 0,7 ათ. ლარი (1%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია გეგმა 261,4 ათ. ლარი - ფაქტი 7,9 (3%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 319,2 ათ. ლარი - ფაქტი 144,3 ათ. ლარი (45%);

- სოფლის პროგრამის მხარდაჭერა გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 0 ათ. ლარი;

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გეგმა 3 381,6 ათ. ლარი - ფაქტი 773,8 ათ. ლარი (23%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება გეგმა 287,9 ათ. ლარი - ფაქტი 0,0 ათ. ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცა გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 100,6 ათ. ლარს, ფაქტი 86,3 ათ. ლარი (86%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 88,0 ათ. ლარი - ფაქტი 86,3 ათ. ლარი (98%);

- მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება გეგმა 12,6 ათ. ლარი, ფაქტი 0,0 ათ. ლარი;

განათლება: სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 71,0 ათ. ლარი - ფაქტი 50,6 ათ. ლარი (71%);

- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 114,7 ათ. ლარი - ფაქტი 36,1 ათ. ლარი (31%);

- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა 45,6 ათ. ლარი - ფაქტი 22,9 ათ. ლარი (50%);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 71,8 ათ. ლარი - ფაქტი 19,3 ათ. ლარი (27%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 150,8 ათ. ლარი - ფაქტი 112,1 ათ. ლარი (74%). აქედან:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობის გეგმა 37,0 ათ. ლარი - ფაქტი 25,8 ათ. ლარი (70%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 10,8 ათ. ლარი - ფაქტი 8,6 ათ. ლარი (80%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 10,7 ათ. ლარი - ფაქტი 8,4 ათ. ლარი (78%);

- კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 37,9 ათ. ლარი - ფაქტი 29,5 ათ. ლარი (78%);

- მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები გეგმა 15,6 ათ. ლარი - ფაქტი 10,8 ათ. ლარი (69%);

ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 18,5 ათ. ლარი - ფაქტი 14,4 ათ. ლარი (78%);

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 9,2 ათ. ლარი - ფაქტი 6,2 ათ. ლარი (67%);

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება გეგმა 11,1 ათ. ლარი - ფაქტი 8,2 ათ. ლარი (74%).

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 167,6 ათ. ლარი - ფაქტი 111,4 ათ. ლარი (66%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 11,2 ათ. ლარი - ფაქტი 6,2 ათ. ლარი (55%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 156,4 ათ. ლარი - ფაქტი 105,2 ათ. ლარი (67%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა სოფელ ბაჯიხევში მეწყერისაგან დაზიანებული მისასვლელი ალტერნატიული გზის მოწყობის სამუშაოები 12,2 ათ. ლარი და მრავალშვილიანი დედებისათვის სასაჩუქრე კალათების შეძენაზე 0,6 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.04.2021წ.) ნაშთი შეადგენდა 1 929,2 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 207,8 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 721,4 ათ. ლარს.

შემსრულებელი: /ვალერიან გობეჯიშვილი/

/თინათინ ბროლაშვილი/